ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად. ძირითად საშუალებაზე სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია შემდეგნაირად :

დასახელება	მომსახურების წლები
შენობა-ნაგებობები	25-50
ინვენტარი	5-15
მანქანა-დანადგარები	10
ოფისის აღჭურვილობა	5-17
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-17
სატრანსპორტო საშუალებები	13-15

თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად. კომპანია არამატერიალური აქტივის სახით ფლობს საბუღალტრო პროგრამას.

4.4 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

4.5 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში კომპანიის მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

4.6 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდისთვის. კომპანიასაინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ფასს და ნებისმიერ დანახარჯებს. საინვესტიციო ქონებას კომპანია აფასებს ყოველი საანგარიშო თარიღისათვის რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით. თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე, კომპანიამ აქტივს აღრიცხავს მსს ფასს სტანდარტის მე-17 განყოფილების შესაბამისად, მანამ სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი.

ქონების საინვესტიციო ქონების კატეგორიაში გადატანას ან პირუკუ კომპანია ახდენს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ქონება პირველად დააკმაყოფილებს საინვესტიციო ქონებად აღიარების კრიტერიუმებს, ან პირიქით, როდესაც პირველად ვეღარ დააკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს.

4.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალების, არამატერიალური აქტივები და სხვა აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

იმ შემთხვევაში თუ, შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის ძირითადი საშუალების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანიის მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემო აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.9 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი ოპერაციის თარიღისთვის.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთ სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. გადასახადები

5.1 მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვეო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის პირველი იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ დამფუძნებლებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღის ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა საგადასახადო ხარჯების“ სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

5.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით განთავსებულია დღგ-ის გადასახადისგან ჩათვლის უფლებით.

5.3 საშემოსავლო გადასახადი

კომპანია იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

6. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები

ანარიცხები

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
- მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არ მოხდენა) რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და
- შესაძლებელია ვალდებულებების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

კომპანია ანარიცხს აღიარებს, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება ხარჯად თუ მსს ფასს-ის სტანდარტის სხვა განყოფილება არ მოითხოვს მისი ღირებულების ასახვას ისეთი აქტივის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით, როგორიცაა ძირითადი საშუალებები ან მარაგი.

წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირება ხდება მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის ღირებულებაში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, რომელიც არ აღიარდება იმიტომ, რომ არ არის შესაძლებელი ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში, ვინაიდან რესურსის გასვლა მოსალოდნელი არ არის შორეულ მომავალში.

პირობითი აქტივი

კომპანია არ აღიარებს პირობით აქტივს. ინფორმაცია პირობითი აქტივის შესახებ გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ეჭვს არ იწვევს მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით.

7. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები.

7.1 საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან

ნეტო ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება :

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
საქონლის გაყიდვიდან	68,056	78,756
მომსახურების გაწევიდან	11,748,783	11,132,727
სულ	11,816,839	11,211,483

ხოლო სხვა შემოსავლები:

სხვა შემოსავლები	31/12/2020	31/12/2019
დეპოზიტის პროცენტი	79,685	58,136
დადებითი საკურსო სხვაობა	429,399	172,206
ზარალის ანაზღაურება	20,871	
საინვესტიციო ქონების გადაფასება		-175,000
სხვა შემოსავლები	6,648	21380
სულ	536,603	76722

7.2 ხარჯები მუხლების მიხედვით ასე გამოიყირება:

ხარჯები	31.12.2020	31.12.2019
საოპერაციო ხარჯები	(3,181,586)	(3,324,705)
გაყიდული/შემძენილი საქონელი	(53,330)	(62,144)
მიწოდების ხარჯები	(1,377,788)	(1,949,367)
შრომითი ანაზღაურება	(1,721,087)	(1,654,090)
მივლინების ხარჯები	(565,479)	(649,678)
ტექდათვალიერება	(10,483)	(8,890)

სახმელეთოს ნებართვები	(50,186)	(42,915)
სამეურნეო ხარჯი	(1,926)	(2,846)
რემონტის ხარჯი	(289,013)	(389,089)
საკანცელარიო ხარჯები	(2,165)	(1,650)
სახელფასო სარგებელი	(4,194)	(23,913)
საპენსიო შენატანი	(20,278)	(18,222)
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯები	(26,699)	(32,440)
იურიდიული და ნოტარიული ხარჯები	(908)	(1,613)
დაზღვევა	(54,029)	(40,975)
თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	(1,016)	(339)
საკონსულტაციო ხარჯები	(8,588)	(22,000)
ცვეთა და ამორტიზაცია	(317,554)	(312,110)
ქველმოქმედება	(1,375)	(425)
სხვა საგადასახადო და საბაჟო ხარჯი	(66,932)	(65,658)
საბანკო ხარჯები	(15,687)	(14,805)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	(123,684)	(13,988)
საპროცენტო ხარჯები	-	(291)
საგადასახადო ხარჯი (მოგება)	(201,616)	(62,604)
სხვა ხარჯები	(84,411)	(10,725)
გადახდილი ჯარიმები და საურავები	(461)	-
საეჭვო მოთხოვნები		(5,116)
სულ	(8,347.886)	(8,710,595)

8. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	ისტორიული ღირებულება	დაგროვილი ცვეთა	2020 წლის ცვეთა	სულ ცვეთა	ნარჩენი 31.12.20
მიწის ნაკვეთები	1762957	0	0	0	1762957
შენობები	1520202	24371	12185	36556	1483646
ნაგებობები	279223	22117	10145	32262	246961
მანქანა-დანადგარები	39250	9884	4839	14723	24527
ოფისის აღჭურვილობა	35107	17602	3494	21096	14011
ავეჯი და სხვა ინვენტარი	35333	15442	2955	18397	16936
სატრანსპორტო საშუალებები	4555014	1159957	149606	1309563	3245451
სამშენებლო ინვენტარი	12624	2168	1060	3228	9396
არამატერიალური აქტივი	10346				10346
ჯამი	8250056	1251542	184283	1435825	6814231

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტი:

- მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო, საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე

- ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში ან შემდეგში. კომპანიას ასევე გააჩნია მიწის ნაკვეთები:

	ს/კ	საბალანსო ღირებულება
მიწის ნაკვეთი 1	72.12.02.507	459,822
მიწის ნაკვეთი 2	72.12.02.508	605,135
მიწის ნაკვეთი 3	01.12.03.007.051	698 000

სულ ღირებულებით: **1 762 957** ლარი.

შენიშვნა 9

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

N	დასახელება	საბოლოო ნაშთი	ვალუტა	კურსი 31.12.2020	ნაშთი ლარში
1	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	12728.94	ლარი	1.0000	12728.94
2	ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში/ აშშ დოლარი	1950.00	აშშ	3.2766	6389.37
3	ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში/რუს.რუბლი.	736400.00	რუბ	0.044031	32424.43
	საბანკო ანგარიშები				
4	GEL სს ტერაბანკი - სს ტერაბანკი	-		1.0000	-
5	ვითივი ბანკი GE04VT1200000000133607	15	ლარი	1,0000	15
6	თიბისი ბიზნეს ბარათი GE53TB GEL	71.33	ლარი	1,0000	71,33
7	39036020100001 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	15.42	ლარი	1.0000	15.42
8	25836978 - ს.ს "ბაზის ბანკი"	13912.34	ლარი	1.0000	13912.34
9	1EUR- ს.ს. ბაზის ბანკი	70402.25	ევრო	4.0233	283249.37

10	RUR ბაზის ბანკი - RUR სს ბაზის ბანკი	2.09	რუბ	0.044031	0.09
11	RUB თიბისი ბანკი	1567096,13	რუბ	0,044031	69000.81
12	VTB RUB-VTB BANK RUB	0	რუბ	0,044031	0
13	USD სს ტერაბანკი - სს ტერაბანკი	1920.72	აშშ	3.2766	6293.43
14	1 USD - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	2.32	აშშ	3.2766	7.60
15	USD-ს.ს ბაზის ბანკი - ს.ს "ბაზის ბანკი"	1078434.05	აშშ	3.2766	3533597
	თანხები დეპოზიტზე				
16	39036020100001 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	8308.84	ლარი	1.0000	8.308.84
17	USD - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	12517	აშშ	3.2766	41013.20
18	EUR - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	0.00	ევრო	4.0233	0.00
	ჯამი		4 007 027		

შენიშვნა 10

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2019	31.12.2020
დებიტორული დავალიანება	1,723,216	1,774,461
თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები და გადახდილი ავანსები	183,030	214,017
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	17,751	267
ჯამი	1,923,997	1 988 745

შენიშვნა 11

სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მუხლში აღრიცხულია ის ნედლეული და მასალა, რომელსაც კომპანია იყენებს სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯად და საანგარიშო პერიოდის ბოლოს მათი ღირებულება შეადგენს 291 182 ლარს.

შენიშვნა 12

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31.12.2019	31.12.2020
დავალიანება მომწოდებლებთან	-461,903	-479,727
სახელფასო ვალდებულებები	-9,801	-17,602
მიღებული ავანსი	-845	-
სხვა ვალდებულებები	-81	-
ჯამი	-472,630	-497,329

შენიშვნა 13

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. 2019 წლის ბოლოსთვის ვალდებულება შეადგენდა -34 216 ოლარს ხოლო 2020 წლის ბოლოს -17 079 ლარს.

შენიშვნა 14

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში სასესხო ვალდებულებები არ ქონია.

შენიშვნა 15

დივიდენდი

კომპანია მიმდინარე პერიოდში დივიდენდს გაცემს 2008-2017 წლის 01 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

2020 წლის საანგარიშო პერიოდში გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 2 509 221 ლარი.

2019 წლის პერიოდში გაცემული იყო 834737 ლარი.

9. პირობითი ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის კომპანიას აქვს ერთი სასამართლო დავა.

მოსარჩელე არის შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“. მოპასუხე მხარე არის შპს „სადაზღვევო კომპანია აისი ჯგუფი“, დავის საგანია ზიანის ანაზღაურება. კომპანია სადაზღვევო კომპანიას ედავება ტვირთის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, რომლის საინვოისო ღირებულებამ შეადგინა 94 269,28 ევრო.

სადაზღვევო კომპანიის იურისკონსულტს მიაჩნია, რომ ბრალდება დაუსაბუთებელია და კომპანიას განზრახული აქვს შეეპასუხოს ამ სარჩელს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2021 წლის 27 ივლისს და მისი გამოცემის ნებართვა გაიცა 28 ივლისს.

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“

დირექტორი:

/ელგუჯა სოზაშვილი/

შენიშვნა 13

საგადასახადო ვალდებულები

საგადასახადო ვალდებულების მუხლში ჩართულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. 2019 წლის ბოლოსთვის ვალდებულება შეადგენდა -34 216 ოლარს ხოლო 2020 წლის ბოლოს -17 079 ლარს.

შენიშვნა 14

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში სასესხო ვალდებულებები არ ქონია.

შენიშვნა 15

დივიდენდი

კომპანია მიმდინარე პერიოდში დივიდენდს გასცემს 2008-2017 წლის 01 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

2020 წლის საანგარიშო პერიოდში გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 2 509 221 ლარი.

2019 წლის პერიოდში გაცემული იყო 834737 ლარი.

9. პირობითი ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის კომპანიას აქვს ერთი სასამართლო დავა.

მოსარჩელე არის შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“. მოპასუხე მხარე არის შპს „სადაზღვევო კომპანია აისი ჯგუფი“, დავის საგანია ზიანის ანაზღაურება. კომპანია სადაზღვეო კომპანიას ედავება ტვირთის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, რომლის საინვოისო ღირებულებამ შეადგინა 94 269,28 ევრო.

სადაზღვევო კომპანიის იურისკონსულტს მიაჩნია, რომ ბრალდება დაუსაბუთებელია და კომპანიას განზრახული აქვს შეეპასუხოს ამ სარჩელს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2021 წლის 27 ივლისს და მისი გამოცემის ნებართვა გაცა 28 ივლისს.

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“
დირექტორი:



/ელგუჯა სოზაშვილი/

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, თბილისი

2021 წელი

1. კომპანიის ისტორია და განვითარება

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ოფიციალური იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ზაჰესის დასახლება, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N20.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სახე სატვირთო საგზაო სატრანსპორტო და გადაზიდვის მომსახურებაა.

კომპანიის დამატებითი საქმიანობაა უძრავი ქონების იჯარით გადაცემა.

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“ რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 17 დეკემბრიდან.

დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად „კომპანია“ რეგისტრირებულია 2007 წლის 10 თებერვლიდან.

„კომპანიის“ დირექტორი დაფუძნებიდან დღემდე არის **ელგუჯა სოზაშვილი**.

2020 წლის 18 აგვისტომდე „კომპანიის“ პარტნიორები იყვნენ :

ელგუჯა სოზაშვილი (პ/ნ 01029008999) – 50% წილით;

დავით მაზანაშვილი (პ/ნ 01029001405) – 25% წილით;

დემნა სოზაშვილი (პ/ნ 01019067958) – 25% წილით.

2020 წლის 18 აგვისტოს დავით მაზანაშვილმა მიყიდა 25% წილი ელგუჯა სოზაშვილს, რის შედეგადაც წილები ასე გადანაწილდა:

ელგუჯა სოზაშვილი (პ/ნ 01029008999) – 75% წილით;

დემნა სოზაშვილი (პ/ნ 01019067958) – 25% წილით.

კომპანიის ბიზნესს საქმიანობა 15 წელია ვითარდება გამოცდილების, საქმისადმი ერთგულების, დაცული და დაზღვეული პასუხისმგებლობის საფუძველზე.

დამკვეთებთან თანამშრომლობა ეფუძნება ნდობის, პასუხისმგებლობის და პატივისცემის პრინციპებს.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს ევროპის რამდენიმე ქვეყანასა და რუსეთში.

2. მისია და მიზნები

კომპანიის მისიაა შევქმნას ისეთი მომსახურების სფერო, რომელიც უსაფრთხოდ და რაც შეიძლება მოკლე დროში მოახდენს დამკვეთის ტვირთის გადაზიდვა სხვადასხვა ქვეყანაში.

მოკლევადიანი მიზნები: 2021 წელს უნდა გვქონდეს თანამედროვე პლატფორმაზე აწყობილი მენეჯერული და საბუღალტრო პროგრამა. ვიზრუნოთ თანამშრომელთა ცოდნის გაღრმავებაზე;

გრძელვადიანი მიზნები: მომავალი 5 წლის განმავლობაში გავზარდოთ ჩვენი შემოსავალი 25 პროცენტით, მოვიზიდოთ უფრო მეტი კლიენტი.

3. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის მმართველი ორგანოა პარტნიორთა კრება და დირექტორატი. დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე, რომლებიც კურირებენ მომართულების სფეროებს. კომპანიას ემსახურება 1 ბუღალტერი, 1 ანგარიშგების მმართველი, 5 გადაზიდვების მენეჯერი, 45 მძღოლი, 3 მექანიკოსი, 2 დამლაგებელი და 4 დაცვის მუშაკი.

კომპანიაში 2020 წელს დასაქმებული იყო სულ 65 ადამიანი, მათ შორის 20 ადმინისტრაციის თანამშრომელი და 50 მძღოლი. 2021 წელს ახალი მანქანების შეძენასთან ერთად იგეგმება დასაქმებულთა რიცხვის გაზრდა.

4. თანამშრომლების მოტივაცია და პროფესიული განვითარება

კომპანია ორიენტირებულია თანამშრომლების მოტივაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე. თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას ემსახურება საბონუსე სისტემა; ზენორმატიულ დატვირთვაზე დამატებითი ანაზღაურდება, კვალიფიკაციის ამაღლებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა. თანამშრომლებს აქვთ საშუალება განივითარონ უნარები და ცოდნა მათი სამუშაო მიმართულებით.

აღნიშნული ემსახურება აგრეთვე კომპანიის განვითარების სტაბილურობას და კადრების დენადობის შემცირებას.

5. გარემოს დაცვა

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსი“ ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად გარემოს დაცვაზე თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. კომპანია მიზანმიმართულად ცდილობს შეამციროს საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე, რისთვისაც იყენებს სხვადასხვა აქტივობებს, კერძოდ:

- ხსნარების შევლება მანქანებზე;
- ავტოპარკის განახლება - ძველი მანქანები იცვლება მოდერნიზებული ახალი მანქანებით, რომლის გამონაბოლქვი ნაკლებად აზიანებს გარემოს;
- ყოველწლიურად კომპანიის ტერიტორიაზე ირგვება მცენარეები.

6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

განხორციელებული მიზანდასახულობების შედეგად, იზრდება კომპანიის საქმიანობის მოცულობა და უმჯობესდება ფინანსური მდგომარეობა.

კომპანიის საქმიანობის ბოლო ორი წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები ასე გამოიყურება:

დასახელება	31.12.2019	31.12.2020	სხვაობა წინა წელთან შედარებით	% წინა წელთან შედარებით
აქტივების ჯამური ღირებულება	11,596,440	13,101,183	1,504,743	11%
ერთობლივი შემოსავალი	11,291,635	11,924,057	632,422	5%
მიმდინარე აქტივები	6,260,438	6,803,885	543,447	8%
მიმდინარე ვალდებულებები	506,000	514,408	8,408	2%
მოგება/ ზარალი	2,577,610	4,005,556	1,427,946	36%
სულ კაპიტალი	11,090,440	12,586,775	1,496,335	12%

როგორც ჩანს, კომპანიის 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების დინამიკა დადებითია - წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი წინსვლაა: - აქტივები გაზრდილია 11%-ით, ერთობლივი შემოსავალი გაიზარდა 5%-ით, სულ 2%-ითაა გაზრდილი მიმდინარე ვალდებულებები. ამ ყველაფრის შედეგად კომპანიის მოგება გაიზარდა 36%-ით.

კომპანიას ნებისმიერ მომენტში გაჩერების შემთხვევაში აქვს სრული რესურსი გადაფაროს მიმდინარე ვალდებულებები.

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივებით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის უნარი, ეს მაჩვენებელი 2020 წლის ბოლოსთვის უდრის 13,2 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 2.0-ს);

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი ანუ მოკლევადიანი ვალდებულებების დაუყოვნებლივ დაფარვის შესაძლებლობა ანგარიშსწორების ანგარიშზე და ბანკებში სხვა ანგარიშზე ფულადი სახსრების ხარჯზე - ეს მაჩვენებელი 2020 წლის ბოლოსთვის უდრის 7,69 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.2-ს);

კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი - იგი ასახავს რამდენად ეფექტიანად გამოიყენება დაბანდებული სახსრები. ეს მაჩვენებელი 2020 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 2.7 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0-ს);

2019 წელთან შედარებით 2 200 000 ლარით გაიზარდა ძირითადი საშუალებები, რაც იმას ნიშნავს რომ კომპანია თანხებს არ იშურებს ბიზნესის გასაფართოვებლად, სისტემატიურად იმატებს ახალ ავტომატებს რაც აძლევს საშუალებას საკუთარი რესურსებით აწარმოოს გადაზიდვები და არა იჯარით ან მომსახურეობის ხელშეკრულებით აღებულით.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, კომპანიის ყველა ანალიტიკური მაჩვენებელი ბევრად აღემატება კრიტიკულ ზღვარს და დადებითი ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული მეტყველებს ფინანსური მდგომარეობის გუმჯობესებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე.

7. ძირითადი რისკები და პრევენცია

კომპანიის წარმატებული საქმიანობისთვის, ხდება რისკების გამოვლენა, შეფასება და მათი გათვალისწინება პრევენციულ ღონისძიებათა მოზანდასახულობაში.

კომპანიისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკია სატრანსპორტო საშუალებების დაზიანება და მწყობრიდან გამოსვლა. ამ რისკის აღმოსაფხვრელად ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა;

- სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგი და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში მისი შეკეთება;

- ყველა სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილია სპეციალური ხელსაწყოებით, რაც საშუალებას აძლევს მძღოლს ადგილზევე აღმოფხვრას მსუბუქი ხარვეზი.

ასევე გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანი რისკია, სავალუტო კურსის ცვლილება, რისი პრევენცია საკმაოდ დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული. სწორედ, ამიტომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში, კურსის ცვლილება, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს. ამ რისკის აღმოსაფხვრელად და სტაბილურობის შენარჩუნებისთვის, ვცდილობთ დავარეგულიროთ ეს რისკი ხელშეკრულებებით.

Covid-19-ის ეპიდემიით გამოწვეული პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

2020 წელს მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა კომპანიამ Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, გარკვეული დროით გაჩერებული იყო ტვირთების მიმოსვლა, რამაც გამოიწვია შემოსავლების შემცირება.

მსოფლიო ცდილობს ისწავლის ვირუსთან ერთად ცხოვრება და განვითარება. ვფიქრობთ მომავალი წელი გაცილებით ნაყოფიერი იქნება.

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“

დირექტორი:

/ელგუჯა სოზაშვილი/

2021 წ. 27 ივლისი,
თბილისი, საქართველო

- სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა;
- სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგი და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში მისი შეკეთება;

- ყველა სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილია სპეციალური ხელსაწყოებით, რაც საშუალებას აძლევს მძღოლს ადგილზევე აღმოფხვრას მსუბუქი ხარვეზი.

ასევე გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანი რისკია, სავალუტო კურსის ცვლილება, რისი პრევენცია საკმაოდ დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული. სწორედ, ამიტომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში, კურსის ცვლილება, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს. ამ რისკის აღმოსაფხვრელად და სტაბილურობის შენარჩუნებისთვის, ვცდილობთ დავარეგულიროთ ეს რისკი ხელშეკრულებებით.

Covid-19-ის ეპიდემიით გამოწვეული პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

2020 წელს მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა კომპანიამ Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, გარკვეული დროით გაჩერებული იყო ტვირთების მიმოსვლა, რამაც გამოიწვია შემოსავლების შემცირება.

მსოფლიო ცდილობს ისწავლოს ვირუსთან ერთად ცხოვრება და განვითარება. ვფიქრობთ მომავალი წელი გაცილებით ნაყოფიერი იქნება.

შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“
დირექტორი:



/ელგუჯა სოზაშვილი/

• 2021 წ. 27 ივლისი,
თბილისი, საქართველო